საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/8501
01/06/2021

8501-2-08-2-202106011222

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა - ბორითის მონაკვეთის (F3) სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარი ფუჭი ქანების მუდმივი დასაწყობებისთვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. შროშასთან გამოყოფილია სანაყარო №5. სანაყაროს პროექტი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულია 2019 წლის 28 ნოემბრის №11741/01 წერილით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ნოემბრის №2-913 ბრძანების მე-14 პუნქტის საფუძველზე. დღეისათვის სანაყაროს ნაწილი უკვე ათვისებულია და ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარი ქანების ნაწილი დასაწყობებულია შეთანხმებული ტერიტორიის საზღვრებში.

თავდაპირველად დამუშავებული პროექტის მიხედვით, თანახმად ჩატარებული გაანგარიშებებისა, №5 სანაყაროზე შესაძლებელი იყო 413 378 მ3 მოცულობის გამონამუშევარი ქანების განთავსება. შემდგომში, წარმოიშვა აღნიშნულ სანაყაროზე განსათავსებელი გრუნტის მოცულობის გაზრდის საჭიროება, რისთვისაც საჭირო გახდა არსებული პროექტის გადამუშავება სანაყაროს ტევადობის გაზრდის მიზნით. შეცვლილი პროექტის მიხედვით სანაყაროზე შესაძლებელი იქნება 672 926 მ3 მოცულობის გრუნტის განთავსება.

სანაყარო №5-ის გაფართოების პროექტის ფარგლებში საჭიროა გარკვეული კაპიტალური ღონისძიებების გატარება აქ არსებული ხევის ბუნებრივი ჩამონადენის სათანადო მართვის მიზნით, კერძოდ ხევის მაღალ ნიშნულზე გათვალისწინებულია მცირე ზომის წყალმიმღები დამბის და ხელოვნური ბეტონის წყალგამყვანი არხის მოწყობა. აღნიშნულმა კონსტრუქციებმა უნდა უზრუნველყოს ბუნებრივი ჩამონადენის უსაფრთხო (დასაწყობებული გამონამუშევარი ქანების გვერდის ავლით) გატარება და ამით წყალდიდობის, დატბორვისა და სანაპირო ზოლის ეროზიის პრევენცია.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. შროშას

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

№ 9717
03 06 2021
2/208
25-ვ

მიმდებარედ არსებული სანაყარო №5-ის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს სანაყაროზე დამატებითი გამონამუშევარი ფუჭი ქანების დასაწყობებას და აქ არსებულ ხევის ბუნებრივი ჩამონადენის სათანადო მართვის, წყალდიდობისა და ეროზიის პრევენციის მიზნით წყალმიმღები დამბის და წყალგამყვანი არხის მოწყობას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური ვერსია- 2 წიგნი და ელ. ვერსია 2 დისკი.

პატივისცემით,

ლევან კუპატაშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე